ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№41

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **„01“** *მაისი 2019 წ.*

ერთის მხრივ **ა.(ა).ი.პ. “მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)” ს.კ. 234233344 მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71 მომსახურე ბანკი: ს/ს „ტერა ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი; ბანკის კოდი TEBAGE22; ა/ა GE20KS 0000 0003 4020 0021 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ზაურ კარამოვის სახით**

და მეორეს მხრივ ი.მ. სამირ იბრაგიმოვის/კ28001012615;**მისამართი: ქ.მარნეული ყურბანოვის ქ.22: მომსახურე ბანკი** ს/ს „ვითიბი ბანკი“ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ნ GE43VT3900000005313602 (შემდგომში „მიმწოდებელი“) სამირ იბრაგიმოვის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად მონეტარული ზღვრის დაცვით გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**
   1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სამეურნეო საქონლის შესყიდვა
   CPV - 44411100 - ონკანები_72.00ლარი;
   CPV - **24910000** - წებოები-8.20 ლარი
   CPV - **44165100** - შლანგები- 10.00 ლარი
   შესყიდვა დანართი N1 -ის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.
2. **ხელშეკრულების ღირებულება**
   2.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს: **90.20 (ოთხმოცდაათი ლარი და 20 თეთრი) ლარი .**
   საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
   2.2. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: **ქ.მარნეული, N4 საბავშვო ბაღი.**
3. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**
   3.1. მიმწოდებელი ვალდებულია **10.05.2019 წლამდე განახორციელოს** 1.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
   3.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.
4. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**
   4.1. საქონლის მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.
5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**
   5.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **ა.(ა).ი.პ. “მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)”-ს დირექტორის მოადგილე ფირან მაისურაძე, მომმარაგებელი რზა მამედოვი.**
6. **მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია**
   6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება).
7. **ანგარიშსწორება**
   7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
   7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო** გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
8. **ფასები**
   8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
   8.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **10 %-ს**.
9. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**
   9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.01%** ოდენობით.

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **30/06/2019 წლამდე.**

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
ა.(ა).ი.პ. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)" ს.კ. 234233344	**ი.მ. სამირ იბრაგიმოვი**
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71	**ს.კ.28001012615**
	მისამართი: ქ.მარნეულიყურბანოვის ქ.22
	მომსახურე ბანკი ს/ს „ვითიბი ბანკი"
	ბანკის კოდი: UGEBGE22
	ა/ა GE43VT 3900 0000 0531 3602
დირექტორი:	
_____ /ზაურ კარამოვი/	**---------- /სამირ იბრაგიმოვი/**
Zaur Karamov — Подписано цифровой подписью: Zaur Karamov Дата: 2019.05.01 17:46:26 +04'00'	Samir Ibragimov — Подписано цифровой подписью: Samir Ibragimov Дата: 2019.05.01 17:46:58 +04'00'

2019წ. 01 მაისს გაფორმებული №41 ხელშეკრულების დანართი №1

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
2	CPV - **44165100** - შლანგები	შლანგი ლითონის 60 სმ	ცალი	2	5.00	10.00
3	CPV - 44411100 - ონკანები	შემრევი ონკანი B8114- 5F	ცალი	1	72.00	72.00
5	CPV - **24910000** - წებოები	სილიკონის წებო 310 მლ. აკვარიუმის	ცალი	1	8.20	8.20
						90.20 ლარი

რომლის მთლიანი თანხა შეადგენს: 90.20 (ოთხმოცდაათი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

შემსყიდველი

ორგანიზაცია:
ა.(ა).ი.პ. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)"
ს.კ. 234233344
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71

დირექტორი:

_____ /ზაურ კარამოვი/

(ბ.ა.)

Zaur Karamov

Подписано цифровой подписью: Zaur Karamov
Дата: 2019.05.01 17:48:02 +04'00'

მიმწოდებელი:

ი.მ. სამირ იბრაგიმოვი
ს.კ.; 28001012615
მისამართი: ქ.მარნეული ყურბანოვის ქ.22
მომსახურე ბანკი ს/ს ,,ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE43VT3900000005313602

---------- /სამირ იბრაგიმოვი/

(ბ.ა.)

Samir Ibragimov

Подписано цифровой подписью: Samir Ibragimov
Дата: 2019.05.01 17:47:33 +04'00'